საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისია

გადაწყვეტილება

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

პირველი დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

კონსტანტინე გელაშვილი - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა ლორია - კოლეგიის წევრი

ანა ხურციძე - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: ადვოკატი ა. მ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 20.11.2020

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 097/20

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ნ. ა.-ის მიმართ /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ნ. ა.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2020 წლის 20 ნოემბერს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ა. მ.-მა და მოითხოვა ადვოკატ ნ. ა.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2020 წლის 10 აგვისტოს ადვოკატმა ნ. ა.-მ ეთიკის კომისიაში წარადგინა საჩივარი მის მიმართ. საჩივრით ადვოკატმა ნ. ა.-მ დაარღვია კოლეგიალობის ვალდებულება. საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის შეურაცხმყოფელია საჩივრის შესავალში ადვოკატ ნ. ა.-ის მიერ მითითებული ფრაზა, სადაც ის ადანაშაულებს სამართალშემოქმედების პროცესის „მერკანტილური მიზნით“ გამოყენებაში, „საკუთარი პიარ კამპანიისათვის, ცნობადობის გაზრდის მიზნით“.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ნ. ა. ეთიკის კომისიას აწვდის ცრუ ინფორმაციას მისი საქმეში ჩართვის თარიღთან დაკავშირებით და ადანაშაულებს არაკვალიფიციურობაში, როდესაც უთითებს, რომ თითქოს ა. მ.-მა პრესკონფერენცია ისე

გამართა, რომ არ იცნობდა საქმის მასალებს, სწორედ იმ დღეს ჩაერთო საქმეში და ბრალდებულის სახელი და გვარი არ იცოდა.

1.4 მომჩივანის განცხადებით, საჩივარში ნ. ა. მას ადანაშაულებს ისეთი ფრაზების გაჟღერებაში, რომელსაც მისი მხრიდან არ ჰქონია ადგილი, ეს ფრაზაა: „ვარიგებთ მას, რომ თავი მოიგიჟიანოს“. საჩივარში ნ. ა. უთითებს, რომ ა. მ. მოგონილი ბრალდებებით გამოძიებას ხელს უშლის.

1.5 საჩივრის ავტორი ასევე მიუთითებს, რომ ნ. ა.-ს მოეთხოვოს განმარტოს თუ როგორ მოიპოვა მან დაცვის ქვეშ მყოფი მ. რ.-სგან 2020 წლის 29 ოქტომბრის სანოტარო განცხადება, ისე, რომ მას, როგორც ადვოკატს, აღნიშნულის თაობაზე არ ჰქონდა ინფორმაცია. 2020 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე საჩივრის ავტორის დამატებითი ინფორმაციით, კლიენტმა განუმარტა, რომ დაუკავშირდა ბრალდებულის დედა, რომელსაც მისცა ეს დოკუმენტი.

2 ადვოკატ ნ. ა.-ის პოზიცია:

2.1 ადვოკატი ნ. ა. 2020 წლის 4 დეკემბერს ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ წერილობით განმარტებაში აღნიშნავს, რომ ა. მ.-ის საჩივარი თავისი შინაარსით წარმოადგენს პასუხს მის 2020 წლის 10 აგვისტოს საჩივარზე და არა დამოუკიდებელ საჩვარს. მისი მითითებით, მას როგორც ადვოკატს აქვს უფლება საჩივრით მიმართოს კომისიას და მოითხოვოს კონკრეტული გარემოებების შეფასება, დადგენა.

2.2 ადვოკატი განმარტავს, რომ ეთიკის კომისიისადმი მომართვაში წამოჭრა საკითხი, რამდენად აქვს ადვოკატს უფლება ნებისმიერი საშუალებით დაიცვას კლიენტის ინტერესი. კერძოდ, სატელევიზიო ეთერში გააჟღეროს მიმდინარე საქმეზე ინფორმაცია და კლიენტის ინტერესის დასაცავად მოახდინოს საზოგადოებივი აზრის ფორმირება? ადვოკატი განმარტავს, რომ მან გამოთქვა თავისი მოსაზრება, რომელიც არის შესაფასებელი ეთიკის კომისიის მიერ.

2.3 ადვოკატი უთითებს, რომ მომჩივანი თავის დროზე განმარტავდა, რომ ბრალდებული იყო სრულად შერაცხადი დანაშაულის ჩადენისას და ნ. ა., როგორც მისი ადვოკატი არიგებდა მას, რომ თავი „მოეგიჟიანებინა“. თუმცა ამჟამად დადგენილია, რომ ბრალდებულს არ შეეძლო შეეგნო თავისი ქმედების მნიშვნელობა.

2.4 ადვოკატის განმარტებით, ინფორმაცია, რომ ადვოკატი ა. მ. არ იცნობდა საქმის მასალებს ჰქონდა პროცესის მწარმოებელი პირისგან მიღებული და ხაზს უსვამს, რომ ეს გარემოება ასეა მისთვის ცნობილი, რაც არ გამორიცხავს, რომ საქმე შესაძლოა სხვაგვარად იყოს.

2.5 ადვოკატი განმარტავს, რომ მოქალაქე მ. რ.-ს 2020 წლის სანოტარო დოკუმენტი მას გადასცა თავისმა კლიენტმა.

2.6 2020 წლის 11 დეკემბრის სხდომაზე საჩივრის ავტორმა დამატებით განმარტა, რომ მისი განცხადება არ ყოფილა საჯარო და ნებისმიერი პირისათვის ხელმისაწვდომი. ეთიკის კომისიის წარმოება კონფიდენციალურია და ამ წარმოების ფარგლებში მან მოითხოვა კონკრეტული გარემოებების შეფასება. მის მიერ საჩივრის შეტანის მიზეზი იყო მისი მოსაზრება, რომ ადვოკატ ა. მ.-ს კონკრეტული განცხადება არ უნდა გაეკეთებინა.

II სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება

3.1 ადვოკატი ნ. ა. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - საერთო.

3.2 ადვოკატმა ა. მ.-მა ეთიკის კომისიას მომართა 2020 წლის 20 ნოემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელებულია 2020 წლის 10 აგვისტოს. შესაბამისად, დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის კანონით განსაზღვრული ხანდაზმულობის 5 წლიანი ვადა (ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონი, მუხლი 32.2).

4. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებით, ადვოკატ ნ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონითა (მუხლი 32) და დებულებით (მუხლი 30.1) გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ნ. ა.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა ნ. ა.-მ ეთიკის კომისიაში 2020 წლის 10 აგვისტოს მის მიმართ წარდგენილი საჩივრით დაარღვია კოლეგიალობის პრინციპი, რადგან საჩივარში უთითებს, რომ ა. მ.-ს ამოძრავებდა „მერკანტილური მიზანი - კონკრეტული საქმის გამოყენება საკუთარი ცნობადობის გაზრდის მიზნით, პიარ კამპანიისათვის“; ნ. ა.-მ მიუთითა, რომ ა. მ. ისე ჩაერთო საქმეში, რომ არ იცნობდა მასალებს, არ იცოდა ბრალდებულის ვინაობა; ადვოკატი ადანაშაულებს ისეთი ფრაზის გაჟღერებაში, რაც მას არ უთქვამს; ადვოკატმა ნ. ა.-მ მისგან გვერდის ავლით მოიპოვა დოკუმენტი მისი კლიენტისაგან.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ნ. ა.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები; ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7, მუხლი 10.1).

5.2.2 ადვოკატი არ უნდა დაუკავშირდეს მოწინააღმდეგე მხარეს საქმესთან დაკავშირებით ამ მხარის ადვოკატის გვერდის ავლით, თუ მისთვის ცნობილია, რომ ეს მხარე წარმოდგენილია ადვოკატით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მხარის ადვოკატი დათანხმდება ასეთ კომუნიკაციაზე ან ობიექტურად შეუძლებელია ადვოკატთან დაკავშირება (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.4).

5.3 „კოლეგიალობის პრინციპი ავალდებულებს ადვოკატს იმოქმედოს პროფესიული სტანდარტების შესაბამისად, დაიცვას პროფესიული ღირსება და პატივი სცეს კოლეგებს. თავად კოლეგიალობა მდგომარეობს საერთო საქმიანობის არსებობაში და გამოიხატება ამ დროს საერთო მიზნისკენ (პროფესიული განვითარება) ურთიერთპროფესიულ პატივისცემაში. ამავე დროს, ადვოკატები, ისევე როგორც სხვა მოქალაქეები, სარგებლობენ გამოხატვის თავისუფლებით იმ მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების გათვალისწინებით, რომლებსაც მათი პროფესია აკისრებთ“ (საქართველოს ადვოკატთა

ასოციაციის ეთიკის კომისიის, შემდეგში „ეთიკის კომისია“, 17.10.2017 წლის გადაწყვეტილება, საქმე N062/17).

5.4 „ადვოკატის პროფესია საკმაოდ რთული და კომპლექსურია, რადგან წარმოადგენს საზოგადოების დიდ ინტერესს. ადამიანი, რომელიც ირჩევს ამ პროფესიას მზად უნდა იყოს ისმინოს, მისი პიროვნებისა და პროფესიონალიზმის მისამართით გამოთქმული კრიტიკა, რომელიც ხშირ შემთხვევაში, შესაძლოა არც თუ ისე სასიამოვნო მოსასმენი იყოს, მაგრამ ეს წარმოადგენს იურისტის პროფესიის განუყოფელ ნაწილს... საადვოკატო საქმიანობის განხორციელებისას, ადვოკატმა უნდა იმოქმედოს იმგვარად, რომ პატივი სცეს სხვა ადვოკატებს და კლიენტის ინტერესების დაცვის პროცესში მას არ მიაყენოს შეურაცხყოფა“ (ეთიკის კომისიის 20.08.2012 წლის გადაწყვეტილება, საქმე N100/12).

5.5 ადვოკატი ა. მ.-ის საჩივარი გამომდინარეობს ადვოკატ ნ. ა.-ის მიერ ეთიკის კომისიაში მომჩივანის მიმართ წარმოდგენილი საჩივრიდან. 2020 წლის 10 აგვისტოს საჩივარში ადვოკატი ნ. ა. უთითებს იმ გარემოებებზე, რომელთა შეფასებაც სურს ეთიკის კომისიისაგან. ფაქტები: იცნობდა თუ არა ადვოკატი ა. მ. საქმის მასალებს, იცოდა თუ არა მან მხარეთა ვინაობა, გააჟღერა თუ არა კონკრეტული ფრაზა - წარმოადგენს 2020 წლის 10 აგვისტოს საჩივრის განმხილველი კოლეგიის შეფასების საგანს. ადვოკატი ნ. ა. თავის პოზიციას ამყარებს მოსაზრებით, რომ ადვოკატმა კონკრეტული საქმე გამოიყენა პირადი მიზნებისთვის - ცნობადობის გაზრდისათვის. ადვოკატის მითითება, შეაფასოს კომისიამ კონკრეტული გარემოებები, ჩამოყალიბებული იმ ფორმით, როგორც 2020 წლის 10 აგვისტოს საჩივარშია, არ წარმოადგენს კოლეგიალობის დარღვევას, რადგან ადვოკატ ნ. ა.-ის მიზანია საკითხის გამოკვლევა კონფიდენციალური წარმოების ფარგლებში, დახურულ სხდომაზე, კოლეგიალურ ორგანოში.

5.6 კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატის მიმართ დისციპლინური წარმოება ყოველთვის სენსიტიურია, თუმცა ადვოკატ ნ. ა.-ის მიერ მითითებული გარემოებები წარმოადგენს შეფასებითი მსჯელობის საგანს და არა ფაქტის დაფიქსირებას. ამასთან, 2020 წლის 10 აგვისტოს საჩივარში გამოყენებული ფრაზები შეესაბამება საზოგადოდ გამოხატვის თავისუფლებით დადგენილ სტანდარტს. ადვოკატის მიზანი არ ყოფილა კოლეგისათვის შეურაცხყოფის მიყენება. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, კოლეგიალობის დარღვევის საფუძვლით ადვოკატ ნ. ა.-ის მიმართ კოლეგიალობის დარღვევის ნაწილში (ეთიკის კოდექსი, მუხლები 7, 10.1) არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა.

5.7 საპროცესო კოლეგიამ შეაფასა საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ ნ. ა.-ის მიმართ, იმასთან დაკავშირებით, რომ ადვოკატმა ნ. ა.-მ მისგან გვერდის ავლით მოიპოვა დოკუმენტი (მოქალაქე მ. რ.-ს 2020 წლის სანოტარო განცხადება) მისი კლიენტისაგან. ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა ა. მ.-მა განმარტა, რომ აღნიშნული დოკუმენტი მისმა კლიენტმა თავად გადასცა ბრალდებულის დედას. ადვოკატი ნ. ა. კი უთითებს, რომ მას დოკუმენტი გადასცა თავისმა კლიენტმა. საქმეში არსებული ფაქტებით უდავოა, რომ აღნიშნული დოკუმენტი მოპასუხე ადვოკატს მისმა კლიენტმა გადასცა, რომელმაც, თავის მხრივ, ის მოიპოვა საჩივრის ავტორის კლიენტისაგან. საპროცესო კოლეგიის შეფასებით, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დგინდება, რომ ადვოკატი ნ. ა. პროფესუალურ მოწინააღმდეგეს ადვოკატ ა. მ.-ის გვერდის ავლით დაუკავშირდა და მისგან მიიღო ეს დოკუმენტები. შესაბამისად, საპროცესო კოლეგიის შეფასებით, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ნ. ა.-ის მიმართ მოწინააღმდეგე მხარესთან

ადვოკატის გვერდის ავლით კომუნიკაციის დარღვევის (ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.4) ნაწილში.

5.8 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, ადვოკატ ნ. ა.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან საჩვარში მოყვანილი ფრაზები, რომელიც მოპასუხე ადვოკატმა ეთიკის კომისიას წარუდგინა, სრულად ექცეოდა გამოხატვის თავისუფლების ფარგლებში და მიზნად ისახავდა საკითხის შესწავლას, გარკვევას და არა საჩივრის ავტორის დისკრედიტაციას. ამასთან, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით, ვერ დასტურდება რომ მოპასუხე ადვოკატს კომუნიკაცია ჰქონდა მისი კლიენტის მოწინააღმდეგე მხარესთან, მისივე ადვოკატის გვერდის ავლით, ხოლო ორივე მხარე ადასტურებს, რომ მითითებული დოკუმენტები მომჩივანის კლიენტმა თავად გადასცა ბრალდებულის დედას, რომელმაც თავის მხრივ გაუზიარა ის მის ადვოკატს - ნ. ა.-ს. შესაბამისად, არ არსებობს მოპასუხე ადვოკატისათვის დისციპლინური დევნის დაწყების საფუძველი.

5.9 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა შესახებ საქართველოს კანონის 32–ე, 33–ე მუხლებით; დებულების 30.2, 40.1 მუხლით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №097/20 ადვოკატ ნ. ა.-ის მიმართ /სიითი №/, არ აღიძრას დისციპლინური დევნა დისციპლინური გადაცდომის არარსებობის გამო.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /კონსტანტინე გელაშვილი/

კოლეგიის წევრი: /ანა ლორია/

კოლეგიის წევრი: /ანა ხურციძე/